ლოთო ღონღაი

ხამთარგამოვლილი ბალი

სოფო ღლონტი

ზამთარ-გამოვლილი ბალი

გამომცემლობა „ლომისი“
თბილისი
2013

რედაქტორი	**ბაღათერ არაბული**
დამკაბადონებელი	**თამარ ტყაბლაძე**
პროექტის ავტორი	**ჯემალ ღონღაძე**

ISBN 978-9941-0540-2-0

პირველი წიგნი

სოფო ღლონტი ახალი სახელია ქართულ პოეზიაში...

მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ და მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა...

შემდეგ იყო მწერალთა კავშირისა და თბილისის მერიის მიერ ჩატარებული ახალგაზრდა პოეტების კონკურსი, სადაც სოფოს შემოქმედება ჟიურისგან მოწონებული იქნა და ამ კონკურსისადმი მიძღვნილ წიგნში დაიბეჭდა.

ახალგაზრდა პოეტის ლექსები გამოირჩევა უშუალობით, სინატიფითა და სისადავით, რაც ჩემი აზრით, პოეზიის უმთავრესი სამკაულია; ის არასოდეს ართულებს სათქმელს; წერს განცდილ ტკივილსა და სიხარულზე და ყოველთვის გულწრფელია...

მინდა, ახალგაზრდა პოეტს დავულოცო მკითხველის გულებისკენ მიმავალი გზა და ვუსურვო, რომ ეს გზა სიყვარულით სავსე ყოფილიყოს...

ბაღათერ არაბული

***

გარედან ჩამესმა ნაცნობი სიმღერა,
წარსულის ლანდიდან გალობდა ტენორი,
რა ახლობელი მეჩვენა „ის ბგერა“,
მეც გულში იმავეს ღიღინით ვმღეროდი...

გაცოცხლდა ჩემს სულში მიმქრალი ვარსკვლავი,
შევიგრძენ სიყრმიდან სურნელი მდელოთა,
აენთო სანთელი, დიდი ხნის ჩამწვარი,
მივხვდი, რომ დღეს ჩემთვის ბაბუა მღეროდა...

***

ხანდახან სულში ლაღი ფიქრებით
ხალისიანი განცდა იელვებს,
ასე მგონია, ერთად ვიქნებით,
ბოლოს კი მრჩება სიცარიელე...

მერე სურვილი დამტანჯავს შენი
და ჩემი ბედიც ბეწვზე ჰკიდია,
შენთან შეხვედრას ამაოდ ველი,
წლები კი შენზე ფიქრში მიდიან...

***

უშენოდ ვსერავ დღეს ნაცნობ ქუჩას,
დავდივარ მარტო და მტკივა გული,
ვიხსენებ ჩემთვის საყვარელ ტუჩებს,
კოცნის სურვილით გაგიჟებული...

მთვარემ მომტაცა ცოტახნით მზერა,
ისიც დაეძებს მოპარულ ამბორს,
მე კი იმედის ბილიკებს ვზვერავ,
წვიმაც ატირდა, უეცრად ამ დროს...

***

დამღალეს ამ ცელქმა, შეშლილმა ქარებმა,
მომბეზრდა დარდების სიმძიმის ტარება...

ხომ ვიცი, უფალო, სულ უფრო გშორდები,
გამრავლდა, დამძიმდა დღეს ჩემი ცოდვები.

ტირიფის ხეებმაც დაჰყარეს ფარ-ხმალი,
მუხამ და წიფელმა ატეხეს ხარხარი...

იქ, მთაზე, დღეს ზარებს გაბმულად რეკენ,
უფალო, ჩვენ ორნი მოვდივართ შენკენ...

***

(ეტიუდი)

რა სევდიანად იწყება წვიმა,
ღრუბელს შხაპუნა ცრემლები სცვივა...

მე კი მივყვები სევდის ნაპირებს,
გამოდარებას სულ არ აპირებს.

ვიცი, ავდარი ბედია ჩემი,
მე მაინც დარის იმედად ვრჩები!..

***

(ეტიუდი)

რაღა მოვუხერხო ზამთრის გულის ფეთქვას,
თოვლით გადამტვრეულ ტოტებს,
ბებერ, შემოძარცვულ, შიშველ ატმის ხესთან
უკვე გაზაფხული გოდებს...

რაღა მოვუხერხო ფესვებს, უკვე გამხმარს,
მობერებულსა და დაღლილს?
როს ჩუმად იშუშებს ტკვილებს ახლა
ზამთარგამოვლილი ბაღი...

***

მოდი, მოგიხმობ, მარტოობას ერთად ვუშველოთ,
მუზად მეწვიე, ვერ დავწერე ლექსი უშენოდ...

გადამარჩინე ავდრისა და გრიგალის რისხვას,
მზედ მომევლინე, იქნებ სითბომ ყინვისგან მიხსნას...

მოდი, სამყაროს აღვუმართოთ კლდე და კედელი,
მერე ჩვენ ვიყოთ ჩვენი ბედის ერთად მჭედელი...

მომეახლნენ და შემახსენეს თავი ქარებმა,
მე მხოლოდ შენკენ, მხოლოდ შენკენ მომეჩქარება...

***

გახუმებიათ მოლოდინი ეულ საფლავებს,
დარდით გამომშრალ, შავ-ბნელ თვალებს ბალახს
აფარებს...
მეეტლე მიდის, არ ჩერდება მისი „მერანი“,
ის რაზე ფიქრობს, ვერ ჩასწვდება ქვეყნად ვერავინ...

„დრონი მეფობენ“, რას გვიქადის „ვაჰ, დრონი,
დრონი“,
დასწყევლოს ღმერთმა, თუ არა გვყავს ქვეყნად
პატრონი...

***

კვლავ წვიმს, ქარიც ქრის ისევ და შემომაწვა სევდა,
შენკენ მომიწევს გული, ახლა სადა ხარ ნეტავ?..

ვერ შეგელიე, გიმხელ, როცა აღმოვჩნდი მარტო,
რატომ გამწირე ასე, ღმერთო, მითხარი, რატომ?

ეხლა ვფხიზლობ და არ ვცნობ აქ სიმშვიდეს და
ღრმა ძილს,
ასჯერ, ათასჯერ ვზომავ შენსკენ გზასა და
მანძილს...

წვიმა, ქარი და ნისლი ჩემში მუდმივად სახლობს,
ერთ რამეს გევედრები, რომ ვიყო შენთან ახლოს...

***

მიყვარს ეგ ღიმილი,
გრძნობა განზრახული,
სიტყვა დამალული,
„შენი გაზაფხული“.

მიყვარს სიახლოვე,
„ბედის კამათელი“,
ბოლოს მარტოობა, —
სევდით განათელი...

მიყვარს ეგ ღიმილი,
ყველგან განფენილი...
ჩვენი გაზაფხული,
მთებზე დაფენილი...

***

სამშობლოს ჩემსას სამსხვერპლოზე დავუდე გული,
ამაყი სისხლი არის ჩვენში ჩაბუდებული...

ქართული მიწა, ნააზრევი ქართული გონი,
ასეთი მძიმე ისტორიით ჯანით და ღონით.

რთულია თურმე ასე გერქვას ქალი ქართველი,
თუ სადმე დამრჩა დასანთები შენთვის სანთელი...

ვალია ჩემი, შევიმეცნო მეფის სახელი,
ეს იყოს თუნდაც მესხი მეფე, თუნდაც კახელი.

ლომის ხვედრია მეფობა და თვით ბრძოლის ველი,
ო, საქართველოვ, შენი ცაა დღეს — „უფლის ხელი“.

***

როცა სცენაზე სამუდამოდ დაეშვა ფარდა,
გამოთხოვების ჟამი იდგა შენთვის მტირალი
და შენი სახე უღიმღამო, უფერო ჩანდა,
რადგან არ გსურდა განგეცადა არტისტს „ფინალი“...

შენს თვალწინ გაჩნდა ამ სცენაზე მრავალი გმირი,
როლი მრავალი, კეთილი თუ ბოროტი სახე,
მონატრების და სიყვარულის ცრემლებით სტირი,
რადგანაც ყველა გაცილების სპექტაკლზე ნახე...

ვიცი, ძნელია, ანდამატის ძალას გაექცე,
მტვერის სურნელით აღარასდროს შეიგრძნო სცენა,
აღარ ისმინო შეძახილი, ოვაციები,
ბოლოს ვარდთა და თაიგულთა ზეციდან ცვენა...

***

მარტოობის გალია
ბედისწერის ბრალია?
იქნებ ბედის შემოქმედს
ჩემთვის არა სცალია?

და ან მისი რჩეული
სევდიანი ქალია...
ბოთლში გამომწყვდეულმა
მგონი სული დალია...

***

აპრილის დღეა, მშვიდი, უქარო,
ჰაერს მოჰყვება ვარდის სურნელი,
ვიცი, აქა ხარ, ჩემთან, უფალო
და გაზაფხულზე მე შენ სულ გელი...

ჩემში იღვიძებს სხივი მიმქრალი
და მიღვივდება იმედი, რწმენა,
აღარ გამივლის სულში გრიგალი,
ვისწავლო, მინდა, ჩიტების ენა.

აპრილში არ ვარ სუსტი, უძლური,
სხეულში არ სურს სულს კვლავ დარჩენა,
რაში სჭირდება პოეტს „კუნძული“
და ბედმა ბუდე ცაში მაჩვენა...

რა შეედრება აპრილის „ტილოს“,
ჩრდილებშიც მოსჩანს მკვეთრი სინათლე,
ამ სიმალაზის მოხატვას ვცდილობ,
პირველყოვლისა შენ მოგინატრებ...

მინდა, აპრილი ვიგრძნო ბოლომდე,
ვარდის ფურცლებზე დავიწყო წერა,
ჩიტებთან ერთად ხეზე ვცხოვრობდე,
შევიგრძნო მათი ხმა, ბედისწერა...

აპრილის დღეა, მშვიდი, უქარო,
ჰაერს მოჰყვება ვარდის სურნელი,
მეც შენთანა ვარ ახლა, უფალო,
მშვენიერების განცდის მსურველი...

***

„გეენის ქვაბი“ დაცარიელდა
და ცოდვილ სულებს ზეცა იბარებს,
გოლგოთას სტანჯავს უთქმელი სევდა,
მიწა იშუშებს დარდს და იარებს...

აღსრულდა, დადგა ნანატრი დრო და
უკვე გამქრალა სიკვდილის შიში,
ქრისტეს აღდგომით დამუნჯდა ცოდვა,
უფლისთვის, თითქოს, თავიდან ვიშვი...

ქრისტე კვლავ აღსდგა,
კვლავ აღსდგა ქრისტე,
ზეცად დაიდგა სინათლის ტახტი
გმადლობ, უფალო, შენი წყალობით,
რომ ნაკლებ ცოდვის ზიარი გავხდი...

***

უწინ მეშინოდა შენი,
ხელიდან გისხლტებოდი როცა,
ბოლო დროს ყოველთვის გელი,
როცა მომინდება კოცნა...

შენი მოფერება მინდა,
შენთან ვნებიანი ღამე,
სუსხით გათოშილი ტანით
მოდი, გავიპაროთ სადმე...

თმები ავუწეწოთ ჯეჯილს,
ღრუბელს გავუფანტოთ დარდი,
ღამე გავათენოთ ერთად,
მერე... დამტოვე და წადი...

***

მიყუჩებულა ცოდვილ სულში სიკეთე, რწმენა,
მან ვეღარ შესძლო გოლგოთამდე „ჯვარის ატანა“,
დაეხშო გული, უიმედოდ წაერთვა სმენა,
სასოწარკვეთილს გამოუჩნდა მხსნელად სატანა...

ჯერ კიდევ გუშინ აწვალებდა ცოდვილს სათქმელი,
მისი სხეული განწირული შავეთს ეკვროდა,
იფერფლებოდა უიმედოდ რწმენის სანთელი,
„მამაო ჩვენო“-ს შინაარსიც აღარ ესმოდა...

ხეებს მოედოთ სისხლის მძაფრი, უცხო სურნელი,
მიწას ეკვროდა ცოდვით სავსე გვამი კაენის,
თვითონვე გახდა მიწიერის განცდის მსურველი
და მისი ცოდვით გაჟღენთილი თრთოდა ჰაერი...

***

ქარმა გაფანტა ფოთოლთა და ყვავილთა გროვა
და ჩემი ფიქრი გადაღლილი ნისლებში ათევს,
ვიცი, რომ ბაღში განახლების წუთებიც მოვა,
მე კი ლოდინი, მოთმინება დღეს ისევ მმართებს...

შენთან შეხვედრის მოლოდინით გავყურებ ფერდობს,
ქარში კი მხოლოდ ყვავილების სიმღერა ისმის,
ვიცი, რომ ამგვარ გამოძახილ ხმებს უნდა ვენდო,
თუნდ ჰორიზონტზე დამაბნევლად მოჩანდეს ნისლი.

***

სამყაროს ჰარმონიას შევერიე,
გამოვჩნდი დარში, ქარში, ავდარში,
წვიმა დავუშვი მარგალიტებად
და მეხის წყევლას ბედად გადავრჩი.

ვნახე სამყაროს ფერიცვალება,
მდელოზე ანცი, თეთრი რაშები,
ვაკოცე იას, მას, ლურჯთვალებას,
ვარდებს ეკლებზე ვეთამაშები...

შევერთე კლდოვან, ახოვან მყინვარს
და გადავეშვი ნდომით ჩანჩქერში,
ეხლა ვიგრძენი, სამყარო მიყვარს
და რადგან მიყვარს... არავის ვერჩი...

***

ამ სამყაროში მარტო ვარ ახლა
და მტკვარს გავყურებ ჩვეული რიდით,
იმ ჩავლილ გრძნობებს წუხილი ახლავს,
ნაკუწ-ნაკუწ რომ აქ, მტკვარში ვყრიდით...

და დღეს დავდივარ ეული ბედით,
ამ ხეტიალში ეს დღეც გასრულდა,
მტკვარს დაჰფარფატებს თოლია თეთრი
და განშორება მიწევს წარსულთან...

***

ძალიან მცივა, მაგრამ სუსხი სულ არ მაწუხებს,
ჩემში სისავსით იჟღინთება ვეება მთვარე,
მინდა, გავექცე მობეზრებულ ყოფის მარწუხებს,
რომ გამითენდეს ალიონი, მშვიდი ცისმარე...

ახლადშობილის შემეცნებით ვიშვე თავიდან,
შევსვა ბოლომდე სატრფიალო ლექსები თასით,
განახლებული ჩემს საწადელს ფინიშს გავიტან,
რომ დავაფასო ყოფიერში „არ ყოფნის“ ფასი...

***

მინდა, დღეს მართლა დავიჯერო, რომ ვარ სტუმარი,
წუთისოფელში შეხიზნული წამებს ხარკს ვუხდი,
ვწუხვარ, რომ ვნებებს არასოდეს ვუთხარ უარი,
ახლა კი ვწუხვარ საწუხარზე, რაზეც არ ვწუხდი...

მე აქვე მინდა, დავაფასო ჩემი სტუმრობა,
წუთისოფელის გემოვნების მე რა ვთქვი გემო,
ყველა ნაბიჯში დავინახე უსახურობა,
დღეს გვიანია, გვიანია, ეჰ, თავო ჩემო!..

***

საოცრად გიზგიზებს ბუხარი,
ტკაცა-ტკუცს მოუცავს სმენა,
ო, როგორ მინდა შენთან,
შენს მკლავზე დამასვენა...

ვიცი, შენც ფიქრობ ჩემზე,
გახსოვს თითები ჩემი,
ხარ თუ არა ხარ ჩემთან,
ჩემს სიყვარულში რჩები...

***

იესოს მსგავსად უნდა ეწამო,
შენც დაითმინო მეხი, ავდარი
და ჯვარზე გაკვრას უნდა ესწრაფო,
რომ განახო მისებრ მალე აღმდგარი...

***

სიტყვები? — რა საჭიროა,
მე გამაოცა თითებმა...
გრძნობები უნაპიროა,
ზღვა გვირილებით ირთვება...

***

ნამთვრალევი და გალეშილი წვანან ხეები,
წვიმა კი დარდით ანაცრემლი ქუხს და აწვიმებს,
მეხი კი ცაში, გაოცებით განახევები,
ჭექა-ქუხილით აფრთხობს ლაღ და ამაყ არწივებს.

განაცისფერდა, მოიქუფრა ზეცა ნაღველით
და ყველაფერი დაემსგავსა მიწას სევდიანს,
დღეს ბულბულების გალობასაც უკვე არ ველი,
დღეს მარტოსულნი კვლავ ირჩევენ მარტოდ
ხეტიალს...

მალე ნაცარი დაეყრება დანთებულ კოცონს,
ისევ ფაციფუცს მოჰყვებიან მთებზე ქარები,
ჩემს სულს კი ღელვა, ჩუმი შფოთი მით უფრო
მოსწონს
ვიდრე სამყაროს საფლავის ქვას შევეფარები...

***

დილის მოლოდინში გაილია ღამე,
მოენატრათ ხეებს თრთოლვის სიკამკამე...

ცვარით აცრემლება და ტირილი ვაზის,
ეშხიანი ვარდის სურნელება ნაზი...

ღამის მოლოდინში გაილევა დილაც,
დარით მოხიბლული გადაიღებს წვიმა.

ქარი, მთლად შეშლილი, შეიშლება მეტად,
ჩემი გული, ამ დროს, ვის მოუხმობს ნეტავ?..

***

დამივიწყე, რადგან სევდამ დამჭრა გულში,
„მიმქრალ კოცონს“ არ უხდება ნავთის დასხმა,
ქარმა რაღაც ჩამჩურჩულა ნაზად ყურში
და ნაწვიმარ, დამზრალ გულში მგონი დათბა...

დამივიწყე, რადგან გლოვამ ჩაიარა,
მონატრება ალისფერი ფერფლად დადნა,
ხომ დავრწმუნდით, ჩვენი გზები გაიყარა,
გაიხედე, გარეთ არის ფიფქთა ბარდნა...

დამივიწყე, მეც მასწავლე დავიწყება,
მსურს წავშალო ნახატიდან შავი კვალი,
შენს სახელზე არ დამჭირდეს დაფიცება,
არ მეწოდოს მარტოხელა, გიჟი ქალი...

დამივიწყე, წადი, ოღონდ გამიღიმე,
უდარდელად დამიტოვე ბოლო სიტყვა,
მომაშორე სამუდამოდ სევდის მღვიმეს,
საბოლოოდ ყველაფერი უკვე ითქვა...

დამივიწყე, მეც მასწავლე დავიწყება,
მსურს, წავშალო ცხოვრებიდან შენი კვალი,
შენს სახელზე აღარ მსურდეს დაფიცება,
არ მეწოდოს მარტოხელა, გიჟი ქალი...

***

უფალო ჩემო, — შენს ნაკვალევს ვხედავ ქვიშაში,
მინდა, გამოვყვე ნაფეხურებს, წმინდა ნაკვალევს,
ვერ ამოგიცნეს ზეციერი „ღმერთის სიტყვაში“,
ამაზე ფიქრით ის ღალატი დღეს კვლავ მაწვალებს.

უფალო ჩემო, — მოგვიტევე უმეცართ ცოდვა,
იქედან მომდევს სინანულის ლოდი და ჯვარი,
შენ მოგვაფრქვიე, ჩვენ უმეცართ, ღვთიური ცოდნა,
ჩვენ, ვინც ვიყარეთ ისევ შენზე ბოღმა და ჯავრი...

უფალო ჩვენო! — ჩამოგვრეცხე უმადურობა,
უმეტესობამ აირჩია თვითონ სიკვდილი,
ყველა ჩვენთაგანს ეტანება უსახურობა,
სიკეთის არსზე გვეფინება ღვარძლით ღიმილი...

უფალო ჩემო! — კვლავ შეგვინდო ცოდვა ეგება,
რადგან წუხილმა უღირსობის დამიჭრა გული,
დაცემულ სულებს აღსადგენად შემოგვეგებე,
აქ ქაოსია, სულს სიბილწით მოედო რული...

უფალო ჩვენო, ძეო ღვთისავ, თაყვანს გცემ მდაბლად,
ჩვენთვის, კაცთათვის, სიცოცხლე რომ გასწირე წმინდა,
მინდა, შენს მცნებებს დავეწაფო, ვით წყაროს ხარბად,
შენს ვიწრო გზაზე ჯვრით გამოვლა ძალიან მინდა.

***

ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა
და სანამ ზეთისხილს დაეტყო ცისკარი,
იესოს ნალურსმნი ხელები სტკიოდა,
პილატემ იხილა ზმანება, სიზმარი...
გამეფებულიყო დუმილი, სევდა,
სისხლი ემჩნეოდა მიწას განწმენდილს,
ბრბო კი, უგუნური, ღრმა ძილში თვლემდა,
იუდა დასტიროდა მის სულს წარწყმენდილს...
მახსოვს ის ღამე, ის ღამე თეთრი,
სიცარიელე, სიცივე სულთა,
იქ, ქვაფენილზე მჯდომარე პეტრე
მამლის ყივილზე ასე რომ სწუხდა...
მწუხრი იყო და უკუნი ღამე,
გაბნეულიყო ქარში „თერთმეტი“,
ყოველი სიტყვა, ყოველი ჩქამი,
იმ ღამით იყო უკვე ზედმეტი...
დათრგუნულიყო პროკურატორი,
დაბანილ ხელებს სისხლით იშრობდა,
დილით რომ იყო, ის ორატორი
ღამეულ სინდისს ვეღარ ითბობდა...

ვინანე, რადგანაც აღმოვჩნდი ბრბოში
და ჩემშიც ყველას ღალატი ვიცან,
მეც წილი მედო ცილსა და ჭორში,
რომ ამ ბრბოს წესს და კანონებს ვიცავ...

იყო აღრევა გრძნობათა ღელვა,
ზღვა სინანულის ჩამოწვა ბინდი,
შეიძრა მიწა, გამოკრთა ელვა,
მხოლოდ გოლგოთა მოსჩანდა მშვიდი...

ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა
და სანამ ზეთისხილს დაეტყო ცისკარი
იესოს ნალურსმნი ხელები სტკიოდა,
შემინდე, უფალო, — რაც იმ დღეს გითხარი...

***

როგორ იცრემლება ჩემს სარკმელთან მარტი,
ქარი განახლების ბედავს შეძახილებს,
ამ დროს იძერწება შემოქმედის ხატი,
ამ დროს არაფერი აღარ შემაშინებს...

ზამთრის სუსხიანი ხელი მეთხოვება,
ცდილობს ჩამეხუტოს ჩვეული სიცივით,
არცერთი დარდი აღარ მეხსომება,
მომინდა შევცვალო ცრემლები სიცილით...

განახლების ძალის ზეცასაც შეშურდა,
მოჯადოებულა აქ თითქოს ყოველი,
ჩემს საყვარელ ლექსებს მუზადაც ეს სურდათ
და ბედის საჩუქარს სწორედ აქ მოველი...

როგორ იცრემლება ჩემს სარკმელთან მარტი,
ქარი განახლების ბედავს შეძახილებს,
ამ დროს იძერწება შემოქმედის ხატი,
ამ დროს არაფერი აღარ შემაშინებს...

***

ძლიერ მაოცებს იდუმალი შრიალი ხეთა,
გაბმული ჯაჭვი და საზღვრების უდროო კვეთა...

ნაოცნებარი, გადაღლილი ტერმინი „ნეტა“,
მთაში გაბმული ღაღადისი განდეგილ ბერთა...

მინდა, რომ ჩავწვდე რატომ ლამობს მეფობას ლომი,
ან კი რას ეძებს ხეტიალით ბოშათა ტომი?..

მაკრთობს დიადი სიამაყით სავსე ქედები,
ჩემს აივანზე მოფარფატე უფლის მტერედბი...

ყელმოღერებით მოღიღინე თეთრი გედები,
ვგრძნობ, დავიღალე, დამაფიქრე, მგონი ვბერდები..

წყაროს წყალი კი გადაღალა დროთა შრიალმა,
მწყურვალნი მხოლოდ მას არგუნა ბედმა ტიალმა...

***

მე ვეღარ ვუძლებ ამ მუსიკის მთრთოლვარე ბგერას,
ბგერას, რომელიც მოგონების ამიშლის აფრას,
ეს ხმა მახსენებს, თან მიღვიძებს უწინდელ წყენას,
დღეს არ დავიწყებ მაღლა ცაში ვარსკვლავთა
დათვლას...

მე ვეღარ ვუძლებ ამ სევდიან შემოღამებას,
აღარ მაოცებს მაღლა ზეცის თვალთა ციმციმი
და არ დავუცდი სარკმლით ქარის შემოპარებას,
არ მაქვს სურვილი, გავიგონო შენი სიცილი!..

მე ვეღარ ვუძლებ ალიონის გამონათებას,
დღეს არ მათრთოლებს ნამის ხილვა იის ფოთოლზე,
„გალიის ჩიტი“ სულ არ ელის გამოზამთრებას,
„კვიცი“ კი ლაღად გადახტება ისევ კოცონზე...

მთვარეც დამყურებს ამ საღამოს ურჩად და მკაცრად,
წვიმაც არ ამკობს ჩემს დარდიან, ცრემლიან სარკმელს,
ასეთი განცდა არ ექნება არავის, არსად,
ამ მელოდიით თუ გამოვთქვამ ნაგროვებ სათქმელს...

დროა, დაიკრას ამ მუსიკის ბოლო აკორდი,
რადგანაც ფიქრმა ამიტაცა წარსულის ქიმზე,
ასე მეგონა, ამ წუთამდე აღარც მახსოვდი,
ახლა კი ნათლად დაგინახე თუ როგორ მიმზერ.

მე ვეღარ ვუძლებ ამ მუსიკის მთრთოლვარე ბგერას,
ბგერას, რომელიც მოგონების ამიშლის აფრას,
დღეს არ დავიწყებ ოცნებებით ზღაპრებში ფრენას,
არც შენთან ერთად შევუდგები ვარსკვლავთა
დათვლას...

***

ვერაფერს გჩუქნი, არაფერი არ გამაჩნია,
მხოლოდ წარსულის მოგონება, ფიქრები მწარე,
მარგალიტები დრომ უჩემოდ გადაარჩია,
და აიტაცა ყველაფერი ზეცაში მთვარემ...

ვერაფერს გჩუქნი, არაფერი არ მაქვს საკუთრივ,
ხანდახან შენზე ნოსტალგიის სევდა იელვებს,
ოდესღაც ჩანდა დიდი გრძნობა ნაზი, სათუთი,
ბოლოს გულებში თურმე რჩება სიცარიელე...

***

განსაცდელი? — მერე რაა უჩვეულო ამაში,
ყველა რჩეულს შეხვედრია ღვთის გზაზე,
არცერთ მათგანს აუტეხავს განგაში,
ფარ-ხმალი არ დაუყრიათ მიწაზე...

განსაცდელი? — ჩვენი ხვედრი დღეს ესაა,
სხვანაირად კარი არ ჩანს სამოთხის,
უშფოთველი მხოლოდ მაღლა ზეცაა,
მიწაზე კი ეკალ-ბარდი ამოდის...

***

საღამოს მწუხრი შემოგაწვა, ვიცი, ძლიერი,
დაღლილობისგან არაქათი გამოგლევია,
მე შეგამჩნიე, მკლავზე გეწვა კაცი ხნიერი,
ჯერ მან არ იცის, შინ ობლები როგორ ელიან...

დარდი გაწუხებს და მათ ბედზე ფიქრმა წაგიღო,
ზედმეტ ღელვისგან, ტალღებისგან დაადნე ქვიშა
და ამ უსულოს ნაფიქრალი სხვამ ვერ გაიგო,
ისიც იგრძენი, ახლომახლო სიცოცხლე იშვა...

მეტად აღელდი, დემონურად მოჰყევი ღრიალს,
სწყევლი ღირსებას, ძალას, რასაც სტიქიად სცნობენ,
ჰკიცხავ ქვეყანას, კაცის ბედის უკულმართ ტრიალს,
იწირებიან და ამქვეყნად ვეღარას გრძნობენ...

გაბნევს ფიქრები, ამოცანა ვერ ამოხსენი,
რადგანაც კაცი მტვერიაო, შენც გაგიგია,
ბრალი რაში გაქვს, თუკი კაცი მიწად მიიქცა,
სული ხომ ზეცას შესაწირი ღვთის ტარიგია?..

შენ სამსახური გაუწიე მიწას და ზეცას,
მართლა არა გაქვს შენ ამაში არავის ვალი,
ყველას ბედ-ილბალს ბოლო დღესაც განგება ძერწავს,
მადლი შენ გერგო, მიაწოდო მომაკვდავს წყალი...

***

შენი თასმების შეკვრის ღირსი, ვიცი, არა ვარ,
განმნათლე, ღმერთო, ცოდვებისგან, გთხოვ,
დამიხსენი,
წარხოცე ჩემგან უწმინდური, ბილწი აზრები,
ამპარტავნება, მრისხანება, დავა და სენი...

შენი თასმების შეკვრის ღირსი არ ვარ, უფალო,
ცდომილებისგან, ვნებებისგან განმბანე, მოდი,
ვიცი, რომ მოხვალ, ჩემს საშველად, სულის
სახსნელად,
რადგან ამ ქვეყნად ცოდვილთათვის ეწამე,
მოკვდი...

შენი თასმების შეკვრის ღირსი არა ვარ, ვიცი,
მინდა, ვისწავლო სიყვარულით შენზე მინდობა,
სინანულით და სასოებით რომ გამოვცადო,
შევიმეცნო და დავიმკვიდრო შენში მშვიდობა...

***

აზვირთებულა უჩვეულოდ მდორე მდინარე,
სწრაფი დინებით დაიოკებს ნაგროვებ ვნებას,
ცრემლების ტალღა, ფერდობებზე ჩამომდინარე,
ჭალებს ჩქერებით უზიარებს ცის ხელოვნებას...

მუნჯი მდინარეც აიშლება თურმე ერთხელაც
და სიყვარულის სიღრმეები მოეფინება,
ვარდის სიშმაგის თვისებებით კვდება ენძელა,
ტყეებს კი ირმის ნაფეხურის მოსწონთ მონება.

თვით უტყვი ქვიშაც აიშლება ტალღის შეხებით,
ნიჟარის სუნთქვას გადაადებს ვნება აღძრულებს,
აზვირთებული ტალღებისგან რჩება შხეფები
და სიყვარულის პრელუდია თამაშს ასრულებს...

***

ძლიერ მაწვალებს ჩემში მყოფი ორი არსება,
ერთი შეშლილი, აწყვეტილი, როგორც გრიგალი,
რომელიც ყველგან ალმოდებულ კედლებს აწყდება,
დემონია თუ ანგელოზი, ნეტავ ვინ არი?..

მეორე „მე“ კი მეოცნებე მორცხვი იაა,
სულ ემალება ქარის მბორგავ, სტიქიურ ძალას,
უკარებაა ფიქრით, არსით, მართლა წმინდაა
და ეტანება იდეალებს უბრალოს, ხალასს...

მტანჯავს ორეულს ჩემში მყოფი არსი მარჩბივის,
მაბნევს სიჭრელე ნათელისა და ბნელის ზმანება,
მინდა, რომ ვიყო ერთი სახით უფრო მარტივი,
რადგან აღარ მსურს ტყუპი ნიღბის ერთად ტარება...

***

გარდაუვალი, ურჩი სიკვდილი
ეტრფოდა ლექსით გადაღლილ პოეტს,
ემოციებით ღონემიხდილი
რომელიც ლექსში სიმშვიდეს ჰპოვებს...

იგრძნო შავეთმა პოეტის დაღლა
და მთლად დაცალა მისი ფიალა,
სული ნატყორცნი მაღლა და მაღლა
თავის ფურცლებით გააფრიალა...

გაებნა პოეტს მუზის ფერები,
დაკარგა სკივრში ნაძებნი სიტყვა,
კალამს შეზრდილი თლილი თითები
ხელის ცეცებით სიბნელეს მიჰყვა...

სიკვდილის ხელი არ შეჰხებია
გადაღლილ, მაგრამ ანთებულ პოეტს,
მისი სული ხომ ზღვის შხეფებია,
ის მის სიცოცხლეს ტალღებში ტოვებს...

***

მსურს, რომ გავიგო რას ფიქრობენ ქვები, ლოდები,
მინდა, ვიცოდე ზღვის ნაპირას ვის ველოდები...

შებინდებისას მარტოობის სიმძაფრე ვიგრძენ,
„შეფოთლილი“ და „ფოთოლცვენით“ სავსე ვარ ისევ...

ქვიშას კი ბინა დაუდვია ბობოქარ ზღვასთან,
მის მდუმარებას ფარავს ღელვის, შტორმის ხმაურით,
მე კი დინებას ჩემს დაგროვილ ჭირ-ვარამს ვატან,
ზღვას ემატება გადამდები ჩემი „ტრაური“...

ნაპირებს მოსდებს ზღვა ჩემს ტკივილს, ფიქრსა
და სევდას,
ქვიშას მიახლის ნაფერებ და გაბნეულ ფიქრებს,
ქვიშა კი უტყვი, ის, რომელიც ყველაფერს ხედავს,
ზღვა საიდუმლოს შესანახად ძალ-ღონეს იკრებს...

მზის ჩასვლის ფონზე ზურგს შევაქცევ დარდიან
ღელვას,
ქვიშის სიღრმეში შევინახავ წარსულს და აწმყოს,
ჩემს ცაზე ისევ ბინდი წვება, გრუხუნებს, ელავს,
ბედისწერა კი ქვიშას თავის წესებით აწყობს...

***

ნათელს მუდამ სდევს მუქი ჩრდილები,
სიხარულს აქრობს სევდა, ნაღველი,
ზოგჯერ „სიბნელეს“ ვემორჩილები,
რადგან „სინათლეც“ არის დამღლელი...

ვიცი, რომ ბნელი მომაჯადოვებს,
შემაკრთობს უტყვი ფერის ხარხარით,
სულ ბოლოს ისიც მარტო დამტოვებს,
სადაც არასდროს არავინ არ არის...

მერე კი შემშლის სულის ტკივილი,
ქსელებს გააბამს ხლართად ობობა,
თავს შემახსენებს ურცხვი სიკვდილი,
თავს დამატყდება ავადმყოფობა...

***

იყო ფოთოლთა ცვენა, ცრემლები...
ქარების ცეკვა, ვნება, თარეში,
ვიცი, გიყვარვარ, თავზე მევლები,
მაშინ კი... ჩემგან უნდა გამეშვი...

და არის კვლავაც წვიმა და თოვა,
მომდევს ფითრისგან ქმნილი ფერები,
გაზაფხულიც ხომ სულ მალე მოვა...
მერე მოგიხმობ, მოგეფერები...

***

საოცარია, შენი გზები, ჩემო უფალო!
„ჩვენი გზები“ კი გრიგალია, ზოგჯერ უქარო.

საამურია მხოლოდ შენი ვიწრო ბილიკი,
მაგრამ გამოვლა მიძნელდება, გამოვივლი კი?..

როცა გრიგალი მიმანარცხებს ამ „სოფლის კედლებს“,
მაშინ დაღლილი ჩემი სული გამოვლას შესძლებს...

***

მოვალ და ერთად გადავარქვათ სახელი ტკივილს,
მოვალ, რომ ერთად მოვუნახოთ სახელი გრძნობას,
მოვალ, შეიგრძნობ ჩემი გული თუ როგორ კივის,
მოვალ, ჩვენ ერთად დავივიწყებთ რა არის მტრობა...

მოვალ, ხომ ვიცი, მოგინდება დარჩენა ჩემთან,
მოვალ და ვნებებს გახელებულს გავაბნევთ ქარში,
მოვალ, ვიხილოთ გზების კვეთა, იღბალთა, ბედთა,
მოვალ და მოსვლით მოგონებებს უკვალოდ წავშლით...

***

მოდი, დედიკო, შენი კოცნა კვლავ დამიბედე,
იყავი ლაღი, არასოდეს არ დამიბერდე...

ო, როგორ მიყვარს შენი მკერდის ტკბილი სურნელი
შენს ლაღ, თბილ ხმაში საალერსო ბგერებს სულ
ველი...

მე ვეომები შენში მავალ ამ ურცხვ თარიღებს,
დედის ჭაღარის შემოქმედი, ვიცი, გამიგებს...

მაგრამ დრო მიდის, ყველაფერში გაჩნდება სევდა,
სულ მუდამ ცოცხლობს, არ ბერდება არასდროს
დედა...

***

ბაღათერ არაბულს

მთვარის ნათელზე მე შევნიშნე შენი პორტრეტი,
რომლის ძალა და ალმურება მთვარეს მოედო,
მგოსნის სახებამ შთააგონა შექსპირს სონეტი,
შთაგონება ხარ პოეტების, თვითონ პოეტო!..

დილის მზის შუქმაც შენი სახე უჩვენა მგოსნებს,
თრთოლით და ნამით გაუხელა მუზა მბორგავი,
ციდან ღრუბლებმა პოეზია ცრემლით შემოსეს,
ბედისწერამ კი სულ გაწუწა ბედის „გორგალი“...

შენ ხარ ეული, მაგრამ შენთან მთვარე მეგობრობს,
მზე კი გმიჯნურობს და სხივებით შენს ბილიკს
ფარავს,
აღარ ეკუთვნი შენი არსით, აზრით დაცლილ ბრბოს,
რადგან ლექსებით წუთისოფლის ანათებ წკვარამს...

***

საოცარია ჩვენი ბედი, ყოფნა-არყოფნა,
დღეს გამოისხა სასიცოცხლო კვირტი ნაყოფმა...

ამაყად დგანან დახუნძლული ჩვენით ხეები,
მე წუთისოფლის აღმართ-დაღმართს მედგრად
შევები...

გამამხნევებს და შემაშველებს ხელებს ქარები,
თუ დავიღლები კვლავ ჩემს ფესვებს შევეფარები...

***

რა მომპარე, ბოშა ქალო?
იქნებ რამე თილისმა?
მგონი, კიდეც შემაჩვენე:
„არ გელირსოს შინ მისვლა...“

ჯადოქარო, რა მომპარე?
ჩემი ბედის შეგშურდა?
იქნებ ხელზე წაკითხული
ნაბოდვარი შესრულდა...

რა მომპარე, ბოშა ქალო?
მივხვდი ბედის რჩეული...
შენ იმედით სავსე დარჩი,
მე კი... ხელჩაქნეული...

***

ძლიერ მამშვიდებს შენი ხმა წყნარი,
სიჩუმეს არღვევს ხეებზე ქარი...

ცნობისწადილით დაგვყურებს მთვარე,
გვიკოცნის ვნებით ანთებულ თვალებს...

წვიმის ცრემლები მდინარეს ერთვის,
დღეს ყველაფერი ირჯება ჩვენთვის...

მე შენში ვცხოვრობ მხოლოდ და მხოლოდ,
მსურს, ამ სიყვარულს არ ჰქონდეს ბოლო...

***

ჩემი თბილისი სულ სხვა ფერია,
მხატვრის ფერები რომ აფენია...

სულ სხვა ფერია ჩემი მთაწმინდაც,
ამ მშვენებაზე მეტი რა გინდა?..

იქით მეტეხი, აქ ნარიყალა
და სადღაც ახლოს მთვრალი ნიკალა...

მამადავითზე მგოსანთ სულები...
მათ ქვეყნის ბედზე ვეჩურჩულები...

ჩემი თბილისი, ჩემი მთაწმინდა,
ამ სასწაულზე მეტი რა გინდა?..

***

მენატრები... სიგიჟემდე მენატრები...
მზის სხივიდან მეფერება შენი სითბო,
მენატრები... სიგიჟემდე მენატრები...
შენი სუნთქვის ცხელ ალმურზე ხელებს ვითბობ...

მენატრები... სიგიჟემდე მენატრები...
შენი თვალის ციმციმებას ყველგან ვხედავ,
მენატრები, სიგიჟემდე მენატრები...
გული მტკივა, სად გეძებო, სად ხარ, ნეტავ?..

მენატრები... კვლავ მოგძებნის მონატრება,
გიპოვნის და დაგავიწყებს მტანჯველ ლოდინს,
მენატრები, სიგიჟემდე მენატრები...
ვიცი მოხვალ, იქნებ ახლა, იქნებ როდის?

მენატრები... სიგიჟემდე მენატრები,
შენი თვალის ციმციმებას ყველგან ვხედავ,
მენატრები, სიგიჟემდე მენატრები.
გული მტკივა, სად გეძებო, სად ხარ, ნეტავ?..

***

დისშვილებს

ბედნიერი ვარ, როცა უკვე მომავალს ვხედავ,
გულისცემასაც გადავიტან ოდესმე თქვენში,
ძალიან ცივა, გადაიღებს წვიმები, ნეტავ?
თქვენზე რომ ვფიქრობ, არ მაშინებს წვიმა და თქეში.

ამ სიყვარულს კი ვერ ვუტოლებ ვერცერთ სიყვარულს,
ტაძრის კედლებზე მარიამის სახეზე ნანახს,
ამ შთაგონებით დაიწერა მრავალი ლექსი,
ამ შთაგონებით „ძველ აკვანთან“ მღერიან „ნანას“.

ბედნიერი ვარ, როცა უკვე მომავალს ვხედავ...
გულისცემასაც გადავიტან ოდესმე თქვენში...
ამ მოლოდინში გადაიღებს წვიმები ნეტავ?
თქვენზე რომ ვფიქრობ, არ მაშინებს წვიმა და თქეში...

***

ბედისწერა ხომ ეურჩება რჩეულებს მხოლოდ,
ჯვარის ტარებას აიძულებს ქრისტესებრ მხრებით;
რა გვემართება, ქართველებო, ბოლოს და ბოლოს,
მგლებად ვიქეცით, დღეს უმწყემსოდ შთენილი
ცხვრები...

მემატიანემ რა დაწეროს გარკვევა მიმძიმს,
შეჩერებულა ისტორია გმირებთან ერთად,
ჩაგვძინებია, ველარ ვარჩევთ ძილსა და ღვიძილს,
მე კი დაცემა აღარა მწამს ამაზე მეტად...

რას დავამსგავსეთ ღვთივნაკურთხი ედემის ბაღი,
დაქუცმაცებულ ჭიან ვაშლებს ვუგორებთ ღორებს,
თითქოს ღირსებაც აღარ შეგვრჩა, აზრები საღი,
ჩავლილ დინებას მივუყვებით მღვრიეს და მდორეს...

ჩემი გაკიცხვაც მაპატიე, სამშობლოვ, მე დღეს,
მაგ სილამაზის დასაცავად ვუხმობ თაობებს,
ჩემი სული კი შენს საშველად, მინდა, რომ მედგეს,
უსულგულობა შედევრებსაც კლავს და აობებს...

ბედისწერა ხომ ეურჩება რჩეულებს მხოლოდ,
ჯვარის ტარებას აიძულებს ქრისტესებრ მხრებით;
რა გვემართება, ქართველებო, ბოლოს და ბოლოს,
მგლებად ვიქეცით, დღეს უმწყემსოდ შთენილი
ცხვრები...

***

„ბრბოგარიყულნი“ ამ ღამით ვართ ჩვენ აქ მარტონი,
ქარმა წაიღოს, ამ ცივ ღამეს ჩვენი „სიმშვიდეც“,
მე კი ნებას გრთავ, ერთი ღამის იყო „ბატონი“,
დაწნულ ნაწნავებს საფერებლად შენთვის ვიშლიდე...

ვიცი, თანდათან სულ შეგვიპყრობს განცდა „ახალი“,
დაგვაწვიმებდა „ოხშივარი ვნების“ წვეთ-წვეთად,
ჟინის მორევი ერთმანეთში შეგვყრის კანკალით
და მოგვინდება, განვიცადოთ სამყარო ერთად...

ეს პრელუდია გაგრძელდება დილამდე თითქმის,
რადგან დღე-ღამის გასაყარზე გზებიც იყრება,
ამ გრძნობებზე კი მხოლოდ ვნების სიგიჟე ითქმის,
არც ხვალ-ზეგ ვიცით ქარიშხალი კვლავაც იქნება?..

***

ჩემი ბედისწერა ჩემი ლექსებია,
სხვა დანარჩენი კი მხოლოდ სიმარტოვე,
ბგერა, რითმი, წყობა ჩემი შვილებია,
ხვალ-ზეგ ამათ გარდა ყველა მიმატოვებს...

ჩემი ბედისწერა ჩემი ლექსებია,
ღამის სასთუმალი საქართველოს მთები,
ჩემი ვნებები კი შლეგი ქარებია,
სუსხით გათოშილი ტყის კოცონთან ვთბები...

ჩემი ბედისწერა ჩემი ლექსებია,
პოეზიის გარდა არც მსურს არაფერი
და ეს ლექსებია თქმული სიყვარულად,
ზეცად განარითმი ენით ანაფრენი...

***

მოთმინების ძაფი გამიწყდა, უფალო,
ჩემს გულშიც დაგროვდა მრავალი წყენა,
აღარ მითენდება დღეები უქარო,
მე, მგონი, დავკარგე იმედი, რწმენა...

დამაქროლებენ შეშლილი ქარებიც,
ვნებებს მოიკრებენ წვიმაში, თქეშში,
მერე მარტოობას შევეფარები,
რომ აღარც სიყვარული სახლობდეს ჩემში...

მოთმინების ძაფი გამიწყდა, უფალო,
ეს ნაღალატევი ამტკივდა სხეულიც,
არ სჯობდა შეგექმნა ადამი უქალოდ,
ვიდრე მასთან ერთად და მაინც ეული...

***

ფიქრი, ფიქრი, ფიქრი, წამლეკეს ფიქრებმა
და ზღვის ნაპირებს ვაყრუებ ტალღებით,
ფიქრებო! — დღეს მარტო დამტოვოთ იქნება,
თქვენ მოითარეშეთ უჩემოდ ბაღები...

ფიქრი, ფიქრი, ფიქრი, წამლეკეს ფიქრებმა,
ფიქრებო! — დღეს მარტო დამტოვოთ იქნება!..

***

თითქოს უმიზნოდ იცქირება ხალხის თვალები,
ხეებიც თავზე გვერწევიან, როგორც მთვრალები...

ამაოებით გაჟღენთილი ვშეშდები დიდხანს,
„რა დაგმართნია, რა გაწუხებს“, — არავინ გკითხავს...

იმედის ფერი ველ-მინდვრები აქ სულმთლად გახმა,
რადგან სიყალბე შეიყვარა უმიზნო ხალხმა...

უწინდებურად აღარ მესმის აქ გულის ფეთქვა,
მგონი, მეც ახლა არაფერი არ უნდა მეთქვა...

***

შენი სახება მუდამჟამ მდევდა,
თითქოს პირველად დღეს არ მენახე,
შეუცნობელი მეწვია სევდა,
რა ნაცნობია ჩემთვის ეგ სახე...

წარსული, აწმყო დროს ვეღარ ითვლის
და შენი სახეც დრომ ვერ დაჩრდილა,
ამდევნებიხარ ყოველ წამს, თითქმის
დამყვები, დამდევ მფარველ აჩრდილად...

***

დღეს ოკეანის სიღრმეები ძლიერ მიზიდავს,
მხოლოდ ხანდახან გამოვხედავ რიდით ნაპირებს,
ჩემებრ რომანტიზმს, ილუზიებს ნეტავ ვინ ზიდავს?
ჩემებრ მიწაზე ფეხის დადგმას დღეს ვინ აპირებს?..

მწუხრის ჟამზე ხომ თვალს ჩავუკრავ დონჟუან მთვარეს,
მწველი სხივებით შემეხება თვალებზე ფრთხილად,
თავდავიწყებით გადავცურავთ სხვადასხვა მხარეს,
მერე კი... ნამდვილ რეალობას შეგვამთხვევს დილა...

***

შენ რომ გაშფოთებს ძილში, ის მოლანდება მე ვარ,
შენთან უჩუმრად ვჩნდები და შენს მკლავებში ვწევარ...

იდუმალებით მავსებ, ლოცვაც მინდება თითქოს,
ჩემი სული კი მხოლოდ შენს გვერდით ყოფნას ითხოვს...

მერე ხომ გაგვყრის ისევ ურჩი და მკაცრი დილა
და ჩემი სილუეტი კარიდან გავა ფრთხილად...

შენ რომ გაშფოთებს ძილში, ის მოლანდება მე ვარ,
შენთან უჩუმრად ვჩნდები და შენს მკლავებში ვწევარ...

***

სიფხიზლე მმართებს, არ წამლეკოს დროის ტალღებმა,
როცა დინებაც უფრო მეტად მისუსტებს მუხლებს,
უმზეოდ გული წალეკილი ველარ გალღვება,
იგი ჭრილობებს მხოლოდ ჩრდილში შეფარულთ უხვევს.

სიფხიზლე მმართებს, მაინც ურჩად დავდივარ ბნელში,
ასკეტურ ყოფას ვაბალახებ ცოდვის ბუნებით,
აქაოსებულ გულისთქმებსაც ვნებებით შევშლი,
ენაჭარტალა ნიჟარებსაც დავერწმუნები...

სიფხიზლე მმართებს, მაგრამ ახლა სულ არ ვარ ფხიზლად,
არც მეტისმეტი ძილ-ღვიძილი მამკობს და მშვენის,
ახლა სურვილთა დაოკება დავსახე მიზნად,
თანაც წვიმისგან აწყვეტილი დინებაც მშველის.

***

ბებიას

როცა გენია მეფინება მუზისფერ ხმებად
და ბედისწერაც ერთნაირად ჩვენში ხმიანობს,
ყოფიერება ჩვენს გარშემო იბნევა, ქრება,
ქარიშხალი და ელვა-ჭექაც იღებს „პიანოს“...

რა პატივია, მერქვას შენი შთამომავალი,
სამყაროს ხმებში სულ შევიგრძნობ მაგ რჩეულ ტენორს,
ვიცი, რომ მუდამ მაკვირდები კრიტიკის თვალით,
საერთოც ბევრი აღმოგვაჩნდა ამ ქვეყნად ჩვენ ორს...

***

ძლიერ გაწვიმდა, უზნეობა მოდის თქორებად,
არც სიმძიმილი ახლავს ირგვლივ გათელილ სინდისს,
სულ არ აყოვნებს სულიერი გამათხოვრება,
ამაოებით გაჟღენთილი ცხოვრება მიდის...

ჟანგი ედება, რელსებიდან გასულ ლიანდაგს
და გზააბნეულ მემანქანეს ეცვლება გზები,
აქ ყოველივეს ერთმანეთი უფრო მეტად სძაგს,
აქ საფლავები იჭრებიან საკუთარ ნებით...

სინდისის ტოტზე დანამყენდა უსინდისობა,
ჟესტებითა და მიმიკებით იშლება მიმი,
არავის ახსოვს ზეციური მარადისობა,
აქ ხომ ცინიზმი შეჰპარვია გულწრფელის ღიმილს...

***

აჭარის კოლორიტს, ილია ბერიძეს

ამ ქვეყანაზე დღევანდლამდე რაც კი მივლია,
სულ რამდენჯერმე დამილაშქრავს აჭარის მთები,
მცირე სამწყსოში შეგიცანით, „დიდო ილია“,
გამოყოლილი მაგ სითბოთი მე ახლაც ვთბები...

დავაგემოვნე მთის და სოფლის დიადი სიბრძნე,
მოკრძალებული შენი სული — ბერმუხა ვნახე,
გასაოცარი სიყვარული თქვენდამი ვიგრძენ,
ჩემში ღრმად ჩარჩა ალალი და მართალი სახე...

გამართლებულად წარმოჩინდა თქვენი მყოფობა,
ამშვენებთ სოფელს პედაგოგი კაცის ტიტულით,
ვიცი, რომ დრამას დაატარებთ ავადმყოფობად,
ზოგჯერ კი დაგაქვთ მძიმე სული, როგორც ფიტული...

თქვენ კოლორიტის, ბრძენი კაცის ტიტული გშვენით,
მემატიანედ გამოგძერწათ აჭარის მთებმა,
არ მავიწყდება საუბრები, შეხვედრა ჩვენი,
იქ ჩასახული სიყვარული არასდროს ქრება...

***

ოლონდ ჯერ თავსაც
თუ მოსდებთ ლავამს
გული არ უნდა გარბოდეს სხვავან

გოეთე „ფაუსტი“

მხოლოდ სიმართლე, მინდა, ვიცოდე,
არ მივყვებოდე სიცრუით ფერდობს,
მსურს მეპატიოს, რაც რამ შევცოდე,
რაც არ მესმოდა, არ მწადდა ერთ დროს...

აღარ მსურს ვიჯდე ფარისევლებთან,
30 ვერცხლად ღირსებას ვყიდდე,
დღეს შევიმოსო „ახალი კაცით“
და გამოვფხიზლდე დროულად, ვიდრე...

რომ აღარ მშთანთქოს ამაოებამ,
ჯოჯოხეთურმა „ღრეობამ“ ქვეყნად,
უსიყვარულოდ რომ აღარ მსურდეს
„წუთისოფელთან“ სიძვა და „შეყრა“...

მოვალ, უფალო, მაშვრალი შენთან,
მე შენს გარეშე აღარ მსურს არვინ,
შენი სიტყვაა ჭეშმარიტება,
დიდება შენდა, უფალო, ამინ...

***

საწყაულია აღუვსებელი არტისტის გული,
ოცნებებს მხოლოდ მას უსრულებს ერთგული სცენა,
ის გმირებს უსმენს, პერსონაჟებს, სულგანაბული,
მუდამ ათრთოლებს ოვაცია, ვარდების ცვენა...

სცენა არ ამსხვრევს არტისტისთვის ოცნების კოშკებს,
თეატრი უქმნის სამყოფელდ ახალ სამყაროს,
ის ზეციური ენერგიით განიცდის, მოსჩქეფს,
თვით შემოქმედიც არ ისურვებს სცენას გაჰყაროს...

***

აჩრდილებს გვანან დათოვლილი თეთრად ხეები,
ზამთრის სუსხისგან გათოშილნი, განახევები...

თეთრი სიჩუმე გადაედო ირგვლივ ბილიკებს,
ცელქი მდინარეც დადუმდა და აღარ ლიკლიკებს...

ამ ქალწულებრივ „სითეთრეში“ მოსწყინდათ მხატვრებს
და მათი ფუნჯი ზამთრის კარებს უხეშად ამტვრევს...

ჩემი კალამიც ელოდება მზეს და გაზაფხულს,
მხატვრებისა და პოეტების თვალით დანახულს...

***

როცა მარგალიტს უყრიან ღორს
და გივრცელებენ უღმერთო ჭორს,
მაშ, ნუღარ გიკვირს ლაყბობა მათი,
ადექი მყისვე და მათგან გადი...

მხოლოდ იცოდე ვისთან აბნიო
შენი ღირსება, გრძნობები წრფელი,
ღორი მარგალიტს ვერ შეაფასებს,
არც ფასი იცის, არც მისი ფერი...

მაშ, ნუღარ გიკვირს ლაყბობა მათი,
ადექი მყისვე და მათგან წადი...

***

არაფერია იმაზე ტკბილი, ვიდრე გურიის თბილი
კერია,
გურული ბებოს მზრუნველობაზე უმეტეს კარგი
არაფერია...

მწვანე ეზო და ციტრუსოვანი ნელსურნელება
თვალსაც ახარებს,
გურული კაცის იუმორზე ხომ მწვანე ჯეჯილიც
ძლიერ ხარხარებს,
ხის ოდები კი წარბაზიდულნი ამაყად დგანან, ვით
მეფეები,
რაც უნდ შორს ვიყო ჩემს მხარეს მაინც გულით
ვატარებ, მოვეფერები;
ხმაურიანი და უმოწყალო რიტმებში როკავს ახლაც
გურია,
მონახულება ჩემი სოფელი სულისშემძვრელად
საამურია...

***

მიაქვს, შორს მიაქვს ქარიშხლიან დღეებს დარდები,
ვიცი, ხვალ მოხვალ, უფრო მეტად შეგიყვარდები...

დღეს, კი რატომღაც, უჩვეულოდ ვსახავ იმედებს,
ზეცაც უღრუბლო მზის კაშკაშა სხივებს იმეტებს...

მსურს საბოლოოდ გავატანო ქარებს ფიქრები,
რადგანაც ვიცი, რომ სულ მალე ერთად ვიქნებით.

მიაქვს, შორს მიაქვს ქარიშხლიან დღეებს დარდები,
ვიცი, ხვალ მოხვალ, უფრო ძლიერ შეგიყვარდები...

***

თან მდევს ფიქრები, შენი ეშხით ვკოცნი მზის სხივებს,
თანდათან ლღვება „ნაკერპალი“ ჩემში ყინულიც,
ვგრძნობ, რომ განცდები ჩამისახლდა სულში სიახლის,
ვისწავლე ტრფობა, სიყვარული თავგანწირული...

აღარც ეჭვები აღარ მტანჯავს, აღარც სიმორცხვე,
თამამად გიმხელ, როგორ ასდის სხეულს ალმური,
აღარც მითების აღარ მჯერა, რადგან ნამდვილად
ვხედავ თუ როგორ გვესვრის ისრებს „ამური“...

თან მდევს ფიქრები, შენი ეშხით ვკოცნი მთვარესაც,
ბოლომდე გალღვა „ნაკერპალი“ ჩემში ყინულიც,
ვგრძნობ, რომ განცდები ჩამისახლდა სულში სიახლის,
ვისწავლე ტრფობა, სიყვარული თავგანწირული...

***

კარი გამიღე, — გარეთ არის ცივი ზამთარი,
მე მენატრება გაზაფხული შენით გამთბარი...

ჩვენი სხეულის სიმხურვალით გავადნოთ თოვლი,
შევიგრძნოთ მიწა, ანატირი ფიფქების თრთოლვით.

მერე ქარიშხლებს დავაცადოთ ვნებებში ქროლვა,
რომ გვაზიაროს ერთმანეთში შეშლილმა ლტოლვამ...

აქ შემოგვისწრებს განახლების წყურვილის დილა
და გაზაფხულის ზეობაზე ჩვენ ორნი მივალთ...

***

სხვის თვალებში რომ სულ დავეძებთ მორსა და დირეს,
საკუთარ თვალში რატომ არ გვსურს დანახვა ბეწვის?
მავანთ ცოდვებზე საუბარი თავგზას რომ გვირევს,
ჩვენს განმკითხველზე გული ასე რატომღა გვეწვის?

რა იოლია, მოყვასს ასე ესროლო ქვები,
თვითონ კი ამგვარ მოქნეულ ქვას ვიცდენთ მუდმივად,
ნუთუ არ ვიცით, დღეს თუ ხვალ-ზეგ სუყველა ვქრებით,
დღესვე ჩამქრალნი მაღლა ღმერთსაც აღარ ვუნდივართ...

სულის შიმშილი შეიმჩნევა ყველას სახეზე,
რადგან არავინ აღარ ვეძებთ ხალისით უფალს,
ბოროტი გული საბოროტოდ სხვასაც აქეზებს
და ქრისტესმიერ სიყვარულით არავინ უყვარს...

***

უწინდებურად არ მაშინებს ქვეყნად სიკვდილი,
მოვა დრო, როცა აღარავინ მოჰყვება გლოვას,
დღეს თუ ამ სოფლად წარმავალნი წამებს მივტირით,
ცოტაღა დარჩა, მაცხოვარი დიდებით მოვა...

***

დამაქვს ფიქრები,
დარდის ფიქრები,
გრძნობის ფიქრები,
ტანჯვის ფიქრები,
ერთად ვიქნებით?..

მომდევს ფიქრები,
მათოვს ფიფქებად,
მაწვიმს ფიქრებად,
ჩემთან იქნება?..

***

პასუხის პასუხი

ჩემს პოეზიას აკლია იმედიანი ლექსი?
ან რაღა გიკვირთ, როდესაც თქვენი „ვაება“ მესმის?

ურწმუნო წუთისოფელში ნეტავ რა უნდა მწამდეს,
მე მგონი, ჩვენი ლოცვები სულ ვეღარ ადის ცამდე...

თუკი პოეტის გვირგვინი თავზე დამადგა ბედმა
და მომანიჭა ცხოვრების ესთეტიური ხედვა.

მაშინ დამითმეთ კალამი, ცის აღვასრულო ნება,
რადგან სულები მიწაზე ყოფიერებით დნება...

აი, ამიტომ პოეტებს ცისკენ მიელტვით სული,
რადგან მიწაზე ვერ ჰპოვეს ბედნიერება სრული...

***

ომში დაცემულ ბიჭებს...

მარადიული სიყვარულით სწირავენ სულებს,
ასეთ სიყვარულს თან არა სდევს სიკვდილის შიში,
ამ ქვეყანაში ვაჟკაცობა ოდითგან მოგვდევს,
ჩანასახიდან სიკვდილისთვის მზადყოფნით ვიშვით.

არის სიკვდილი, მაგრამ ჩვენში არ არის კვდომა,
გმირთა სისხლი კი ჩვენი ქვეყნის მთა და მდელოა,
ვერ დააჩოქა ჟამთასვლამ და მრავალმა ომმა,
ის გმირთაგმირი არწივი ხომ საქართველოა...

***

სიახლოვე მინდა, სიახლოვე შენთან,
ოკეანე, მთები გადავლახოთ ერთად...

დავაბნიოთ ტირიფს მარგალიტის მძივი,
დავავიწყოთ ცრემლი, მარტოობა ცივი...

დავემონოთ ქარებს, საფერებელ ნიავს,
მდინარესაც ჩვენი სადარდელი მიაქვს...

გარიჟრაჟსაც შევხვდეთ, მივეგებოთ ცისკარს,
სიყვარულით ქალი სუყველაფერს რისკავს...

სიახლოვე მინდა, სიახლოვე შენთან,
ოკეანე, მთები, გადავლახოთ ერთად...

***

მოდი, ძვირფასო, შენს სასთუმალს დღეს ჩემთან გავშლი,
მოდი, ვიგემოთ პირველქმნილი ნაყოფი, — ვაშლი...

ჩემი სხეული დაუბრუნდეს ფერებით ედემს,
შენი ხელებიც საფერებლად ჩემს სხეულს ეძებს.

მერე ვნებების დაეწყებათ ხეებსაც რხევა
და მეც ვიქნები მაცდუნებლად შიშველი ევა...

მოდი, ძვირფასო, შენს სასთუმალს დღეს ჩემთან გავშლი,
ერთად ვიგემოთ პირველქმნილი ნაყოფი, — ვაშლი...

***

სოფიკო ჭიაურელს

ნამდვილი ქალის არის ხატება,
იდეალურიც არსებობს ქალი,
მასში „ფუფალაც“ დაეხეტება,
თვით დედოფალი, შვლის ნუკრის თვალით.

სცენის მშვენება, გვირგვინი სცენის,
მარადიულად დარჩება ქვეყნად,
მას დედოფლობა თეატრის შვენის,
სცენის მეფესთან, — კოტესთან „შეყრა“.

„უსიყვარულოდ“ — ამოსული მისი ბაგედან
არ გავიწყდება, მის თვალებში სევდაც რომ იყო,
მისი გმირები, ყველა ერთად, მაშინ დაბერდა,
როცა სცენაზე აღარ იდგა დიდი სოფიკო...

***

როგორ მიყვარს ჩემი ეზო, გურიაში ჩემი სახლი,
როცა იქ ვარ განცდები მაქვს, შეგრძნებები მუდამ
„ახლის“...

მწვანე მოლი და ციტრუსის ნაირფერი სურნელება,
ადამიანს სიყვარული იქ არასდროს უნელდება...

ჩემი ეზო, ჩემი ხალხი, ხელისგულზე სატარები,
დამილოცე, ჩემო ღმერთო, გურიაში ნატანები...

***

ოხ, იმერეთო, ჩემო თბილო, ტკბილო კერიავ,
შენთან ყოფნაზე საამური არაფერია...

მე სიყმაწვილე შენს გორებზე ხტუნვით გავლიე,
მახსოვს ვიჭერდი ყვავილებში პეპლებს, კალიებს...

და იმერელი გლეხის ხმა და ტკბილი ბგერები...
როცა შორსა ვარ მახსენდება, სულ ვეფერები...

იქვე, ვენახში მოღიღინე ჩემი ბაბუა,
თავის სიმღერით არე-მარე რომ გააბრუა...

თვით მხატვარს ფუნჯიც ვერ შემატებს ფერებს
იმერეთს,
ბუნება მხოლოდ ბაბუას ხმით მუდამ იმღერებს...

***

ზოგჯერ წვიმა ამატირებს,
აზვირთდება მერე მტკვარი,
მზე ამოსვლას არ აპირებს
და თბილისიც მოსჩანს „მკვდარი“..

ჩავუყვები იქვე ბილიკს,
შემომხვდება ნარიყალა,
მთელი ღამე კენტად ვივლი,
სული ჩემი დაიღალა...

გადაღლილი, იქვე ლოდებს
გავაოცებ მდუმარებით,
დაბლა ვიღაც ჩუმად გოდებს,
უჩვეულოდ დუმს ქარებიც...

ზოგჯერ წვიმა ამატირებს,
აზვირთდება მერე მტკვარი,
მზე ამოსვლას არ აპირებს
და თბილისიც მოსჩანს მკვდარი...

***

ვზივარ და გისმენ, ჩემი სული შენთან გაერთო
და მიხარია, რამდენი გვაქვს ჩვენ ორს საერთო...

მინდა, გაკოცო ძლიერ, ძლიერ მოგხვიო ხელი,
დღეს აღარ მთრგუნავს ირგვლივ უტყვი, უკუნი
ბნელი...

თითქოს ავმაღლდი ღრუბლებს ზემოთ, მაღლა და
მაღლა,
ბედნიერი ვარ უჩვეულოდ შენს გვერდით ახლა...

***

ოკუპირებულ საქართველოს დასტირის გული,
გასთეთრებია ჩვენს აფხაზეთს ყორნისფერი თმა,
ჰერეთი ჩუმი მომტირალი, გულდადაგული
ტაძრის ფრესკიდან დაგვილოცა დიდმა დავითმა.

ლაზეთის მიწა საქართველოს უვსებს ფიალას
და სამაჩაბლოს თვალებიდან ცრემლი იღვრება,
ღმერთი, დღეს, ალბათ, საქართველოს უგებს
ფიანდაზს,
სიკვდილის შემდეგ აღდგომა ხომ მანვე ინება...

***

რასაც ვეძებდი, თავმოყრილა შენში ყოველი
და ამიტომაც აღარ მინდა წახვიდე ჩემგან,
შენს გამოჩენას მოუთმენლად ისევ მოველი,
როცა მიდიხარ, სულში მხოლოდ ნაღველი მრჩება...

უკვე გიპოვნე, მაგრამ მაინც თან დამდევს შიში,
შიში დაკარგვის, მსურს რომ მალე გიხილო ეგებ?
ახლა კი ვიცი, მე ამქვეყნად თუ ვისთვის ვიშვი,
აი, ამიტომ გპოულობ და სულ მაინც გეძებ...

***

როცა მეცლება იმედი, ძალა,
როცა ინგრევა კოშკები სულის,
ჩემს ემოციას ვნიღბავ და ვმალავ,
ღმერთსაც ვერ ვუმხელ ლოცვებში სურვილს...

დღესაც მივტირი ნაცრისფერ წარსულს,
უკვე აწმყოსიც მე აღარ მჯერა,
ჩემი მომავლის დანახვაც არ მსურს
თუ არ დავიწყე ლექსების წერა...

***

დისშვილებს

შენთვის ვიქცევი იმად, რაც გსურს რომ შენთვის ვიყო,
ჩემო პატარა ბიჭო, ჩემო კუდრაჭა ნიკო...

ჩემო სიცოცხლევ, გიო, შენთვის ვინდომებ ფრენას,
შენთვის ვისწავლე წერაც და პოეზიის ენაც...

მე თქვენ მიყვარხართ მანამ, სანამ გერქმევათ შვილი,
მარადიულად ასე, თქვენზე მლოცველი ვივლი...

***

ჩემი სული სადღაც შორს გაფრენას ლამობს,
დარდი, ფიქრი, საწოლს ცხელი ცრემლით ალბობს.

შთაგონება მერჩის, მამკობს უცხო განცდით,
ფანტაზიით ხმელეთს, ჰორიზონტებს გავცდი...

ლექსი მუზისაგან სადღაც უნდა იშვას,
უსამშობლო ლექსი „აპოკალიპსს“ ნიშნავს...

***

გამიკრთა ძილი, ველარ ვისვენებ,
მთვარის სხივებზე შეგნიშნე წამით,
დაგელოდები... თუკი ინებებ,
რომ ერთხელ კიდევ დავკარგოთ თავი...

მოდი, მოგიხმობ, გამიკრთა ძილი,
მერე დამტოვე, თუ გინდა, დილით...

***

გამიღე კარი, კარი გამიღე,
დღეს მსურს გრძნობების შენთვის გამხელა,
ყველა სურვილის ერთად ახდენა...

გამიღე კარი, კარი გამიღე...
მე მართლა მინდა შენთან ამჯერად,
მე შენ მიყვარხარ, ნუთუ არ გჯერა?..

***

სამხმოვანება, პირველი გამა,
ოდით გაბმული მე და შენს შორის,
ჩანასახშივე გიწოდეთ მამა,
ჩემო ძვირფასო, ბატონო ბორის!..

***

დაიქცეს კასტა, მდიდრების კასტა,
თუ აღარავინ სწყალობს ღარიბებს,
მას გაუმრავლდეს დოლარის დასტა,
ვინც უანგაროდ გასცემს, არიგებს...

***

დღეს ყვავილდება ალუბლის ბაღი,
დღეს ავიწყდება ხეებსაც სევდა,
ამ დროს ფიქრი და ოცნებაც არ ღირს,
ამ დროს თვალები შემოქმედს ხედავს...

ჭრელი ფერები, ნელსურნელება
და მედიდური კოკორ-ვარდები,
რა მშვენიერი გათენდი, დილავ
და რა ლამაზად დამიღამდები...

***

სადაც არ უნდა წახვიდე ჩემგან,
როგორიც უნდა შემოგხვდეს ვარდი,
სულის ნაწილი აქ, ჩემთან გრჩება,
ისიც სულ გახსოვს, როგორ გიყვარდი...

წადი, იარე, მე დაგრთავ ნებას,
ღვთის გულისათვის წადი, იარე,
მაგრამ ჩემს გარდა, მე ამას ვხედავ,
ვერვინ გიშუშებს ახლა იარებს...

***

მარადიულად მოგიხმობ, ღმერთო,
ამრავლე ჩემში ტრფობა და ლექსი,
დიდება შენდა, შენ ერთადერთო,
რასაც ლექსად ვწერ, ის შენგან მესმის...

მარადიულად მოგიხმობ, ღმერთო,
ეს პოეზია მიკურთხე მარად,
რომ ვარსკვლავები ვარსკვლავებს „შევრთო“
და სავსე მთვარე ვიფარო ფარად...

***

როგორ მიყვარს მთაში განთიადები,
ეს ხომ ჩემი ქვეყნის თეთრი ნისლია,
საქართველოვ, როდის გამთლიანდები?
დღესაც კლავენ, დღესაც კლავენ ილიას...

როგორ მიყვარს შენი მთა და ბარები,
ვაჟას ნუკრი და ირემი დაჭრილი,
მახსენდება მგოსანთ დანაბარები,
მათი ლოცვით გვითენდება აპრილი...

როგორ მიყვარს ჩვენი „მრავალჟამიერ“,
მოგუგუნე „ოროველა“, „ჩაკრულო“,
სადღეგრძელო „ამიერ“ და „იმიერ“
ჩემო მიწავ, ომებისგან ჩაგრულო...

როგორ მიყვარს მთაში განთიადები,
ო, მამულო, როდის გამთლიანდები...

***

რაც შენ გაგიცანი, მე გზას მინათებს სხივი,
ზეციერის ნება, გრძნობა ღვთაებრივი...

ჩემი სიყვარული სიყვარულსაც გასცდა
და აღმაფრენს ლტოლვის უჩვეულო განცდა...

რაც შენ გაგიცანი, მე თან დამდევს ფიქრი,
შენთან ერთად მთვარის ნაზ სხივებზე მივქრი...

***

„ალიხე, მალიხე, ალიხე მალიხე“,
ღმერთო ჩემო, მაპოვნინე,
„ნატვრისთვალი“, „ნატვრის ხე...“

რომ ამ ხეზე შევაბნიო
ყველა ფიქრი, ოცნება,
მჯერა, დარდი, ჭრილობები
ერთად შემიხორცდება...

მერე მშვიდი სიმსუბუქით
გადავლახავ მთა-გორებს,
ვნახავ დაღლილ ადამიანს,
„ამ სოფელს რომ აგორებს...“

გადავცურავ ყველა ნაპირს,
ქარებს ავედევნები,
ზამთარს შევეყინები,
ვენახს-მწიფე მტევნებით...

გამოვისხამ გაზაფხულს,
განახლდება აისი,
ყველგან მოეფინება
სიცოცხლე და ხალისი...

„ალიხე, მალიხე, ალიხე მალიხე“,
ღმერთო ჩემო, მაპოვნინე,
„ნატვრისთვალი“, „ნატვრის ხე...“

სარჩევი

*** გარედან ჩამესმა ნაცნობი სიმღერა.....5
*** ხანდახან სულში ლაღი ფიქრებით.....6
*** უშენოდ ვსერავ დღეს ნაცნობ ქუჩას 7
*** დამღალეს, ამ ცელქმა, შეშლილმა ქარებმა 8
*** რა სევდიანად იწყება წვიმა 9
*** რაღა მოვუხერხო ზამთრის გულის ფეთქვას 10
*** მოდი, მოგიხმობ, მარტოობას ერთად ვუშველოთ 11
*** გახუმებიათ მოლოდინი ეულ საფლავებს 12
*** კვლავ წვიმს, ქარიც ქრის ისევ და შემომაწვა... 13
*** მიყვარს ეგ ღიმილი.....14
*** სამშობლოს ჩემსას სამსხვერპლოზე დავუდე... 15
*** როცა სცენაზე სამუდამოდ დაეშვა ფარდა.....16
*** მარტოობის გალია.....17
*** აპრილის დღეა, მშვიდი, უქარო 18
*** „გეენის ქვაბი“ დაცარიელდა 20
*** უწინ მეშინოდა შენი 21
*** მიყუჩებულა ცოდვილ სულში სიკეთე, რწმენა 22
*** ქარმა გაფანტა ფოთოლთა და ყვავილთა გროვა...23
*** სამყაროს ჰარმონიას შევერიე 24
*** ამ სამყაროში მარტო ვარ ახლა.....25
*** ძალიან მცივა, მაგრამ სუსხი სულ არ მაწუხებს.....26

*** მინდა, დღეს მართლა დავიჯერო, რომ ვარ... 27
*** საოცრად გიზგიზებს ბუხარი.....28
*** იესოს მსგავსად უნდა ეწამო.....29
*** სიტყვები? - რა საჭიროა.....29
*** ნამთვრალევი და გალეშილი წვანან ხეები 30
*** დილის მოლოდინში გაილია ღამე 31
*** დამივიწყე, რადგან სევდამ დამჭრა გულში 32
*** უფალო ჩემო, — შენს ნაკვალევს ვხედავ... 33
*** ვიდრე განთიადი ღრუბლებში სჭვიოდა 34
*** როგორ იცრემლება ჩემს სარკმელთან მარტი.....36
*** ძლიერ მაოცებს იდუმალი შრიალი ხეთა.....37
*** მე ვეღარ ვუძლებ ამ მუსიკის მთრთოლვარე... 38
*** ვერაფერს გჩუქნი, არაფერი არ გამაჩნია 40
*** განსაცდელი? — მერე რაა უჩვეულო ამაში.....41
*** საღამოს მწუხრი შემოგაწვა, ვიცი ძლიერი.....42
*** შენი თასმების შეკვრის ღირსი, ვიცი, არა ვარ 43
*** აზვირთებულა უჩვეულოდ მდორე მდინარე.....44
*** ძლიერ მაწვალებს ჩემში მყოფი ორი არსება 45
*** გარდაუვალი, ურჩი სიკვდილი.....46
*** მსურს, რომ გავიგო, რას ფიქრობენ ქვები... 47
*** ნათელს მუდამ სდევს მუქი ჩრდილები.....48

*** იყო ფოთოლთა ცვენა, ცრემლები.....49
*** საოცარია, შენი გზები, ღმერთო უფალო 50
*** მოვალ და ერთად გადავარქვათ სახელი ტკივილს 51
*** მოდი, დედიკო შენი კოცნა კვლავ დამიბედე 52
*** მთვარის ნათელზე მე შევნიშნე შენი პორტრეტი...53
*** საოცარია ჩვენი ბედი, ყოფნა-არყოფნა 54
*** რა მომპარე, ბოშა ქალო.....55
*** ძლიერ მამშვიდებს შენი ხმა წყნარი.....56
*** ჩემი თბილისი სულ სხვა ფერია 57
*** მენატრები... სიგიჟემდე, მენატრები.....58
*** ბედნიერი ვარ, როცა უკვე მომავალს ვხედავ.....59
*** ბედისწერა ხომ ეურჩება რჩეულებს მხოლოდ.....60
*** „ბრბოგარიყულნი“ ამ ღამით ვართ ჩვენ აქ... 61
*** ჩემი ბედისწერა ჩემი ლექსებია 62
*** მოთმინების ძაფი გამიწყდა, უფალო.....63
*** ფიქრი, ფიქრი, ფიქრი, წამლეკეს ფიქრებმა 64
*** თითქოს უმიზნოდ იცქირება ხალხის თვალები.....65
*** შენი სახება მუდამჟამ მდევდა 66
*** დღეს ოკეანის სიღრმეები ძლიერ მიზიდავს.....67
*** შენ რომ გაშფოთებს ძილში, ის მოლანდება... 68
*** სიფხიზლე მმართებს, არ წამლეკოს... 69
*** როცა გენია მეფინება მუზისფერი ხმებად.....70

*** ძლიერ გაწვიმდა, უზნეობა მოდის თქორებად 71
*** ამ ქვეყანაზე დღევანდლამდე რაც კი მივლია 72
*** მხოლოდ სიმართლე, მინდა, ვიცოდე 73
*** საწყაულია აღუვსებელი, არტისტის გული.....74
*** აჩრდილებს გვანან დათოვლილი თეთრად ხეები...75
*** როცა მარგალიტს უყრიან ღორს.....76
*** არაფერია იმაზე ტკბილი, ვიდრე გურიის თბილი ..77
*** მიაქვს, შორს მიაქვს ქარიშხლიან დღეებს... 78
*** თან მდევს ფიქრები, შენი ეშხით ვკოცნი... 79
*** კარი გამიღე, — გარეთ არის ცივი ზამთარი.....80
*** სხვის თვალებში რომ სულ დავეძებთ ... .81
*** უწინდებურად არ მაშინებს ქვეყნად სიკვდილი.....82
*** დამაქვს ფიქრები 83
*** ჩემს პოეზიას აკლია იმედიანი ლექსი? 84
*** მარადიული სიყვარულით სწირავენ სულებს 85
*** დავაბნიოთ ტირიფს მარგალიტის მძივი 86
*** მოდი, ძვირფასო, შენს სასთუმალს დღეს... 87
*** ნამდვილი ქალის არის ხატება 88
*** როგორ მიყვარს ჩემი ეზო გურიაში, ჩემი სახლი....89
*** ოხ, იმერეთო, ჩემო თბილო, ტკბილო კერიავ 90
*** ზოგჯერ წვიმა ამატირებს 91
*** ვზივარ და გისმენ, ჩემი სული შენთან გაერთო.....92

*** ოკუპირებულ საქართველოს დასტირის გული 93
*** რასაც ვეძებდი, თავმოყრილა შენში ყოველი 94
*** როცა მეცლება იმედი, ძალა.....95
*** შენთვის ვიქცევი იმად, რაც გსურს, რომ... 96
*** ჩემი სული სადღაც, შორს გაფრენას ლამობს 97
*** გამიკრთა ძილი, ვეღარ ვისვენებ.....98
*** გამიღე კარი, კარი გამიღე.....99
*** სამხმოვანება, პირველი გამა 100
*** დაიქცეს კასტა, მდიდრების კასტა.....100
*** დღეს ყვავილდება ალუბლის ბაღი.....101
*** სადაც არ უნდა წახვიდე ჩემგან.....102
*** მარადიულად მოგიხმობ, ღმერთო 103
*** როგორ მიყვარს მთაში განთიადები 104
*** რაც შენ გაგიცანი, მე გზას მინათებს სხივი.....105
***„ალიხე, მალიხე, ალიხე მალიხე“.....106

პირველ კრებულს ვუძღვნი
უსაყვარლესი ბაბუის,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის,
ლოტბარ ნოე ბარბაქაძის ხსოვნას

დაიბადა ოზურგეთის რაიონში. დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიური კოლეჯი "საერო". თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური უნივერსიტეტი, სამსახიობო ფაკულტეტი; ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის თოჯინების თეატრში "ჩიორა", ქ. რუსთავის საბავშვო თეატრში მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 2012 წელს, ჟურნალში "ცისკარი".



ISBN 978-9941-0-5402-0
9 789941 054020